გადაწყვეტილება

N გ-21-19/325
03/06/2021

325-გ-21-1-4-202106031735

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 2 აპრილის № გ-20-7/376 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ მოქალაქე ლუკა კერატიშვილმა კომისიას მიმართა განცხადებებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-21-9/2134, 14.05.21 და შ-21-9/2170, 18.05.21) რადიომოყვარულის საცხოვრებელი მისამართის შეცვლის თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2020 წლის 2 აპრილის № 131/7გ-20-7/376 გადაწყვეტილების საფუძველზე რადიომოყვარულ ლუკა კერატიშვილის რადიოსადგური განთავსებულია შემდეგ მისამართზე:

რეგისტრაციის №	**რადიოსადგურის მფლობელი**	**რადიოსადგურის განთავსების ადგილი**	**სახმობი**	**კატეგორია**
CN - 070	ლუკა კერატიშვილი	ქ. თბილისი, გლდანის მე-4 მკ/რ, კორპ. 96ა	**4L1LUK**	**„C“**

კომისია აღნიშნავს, რომ მოქალაქე ლუკა კერატიშვილის მომართვის საფუძველზე შესაძლებლად მიაჩნია კომისიის მიერ 2020 წლის 2 აპრილის № 131/7გ-20-7/376 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა და საცხოვრებელი მისამართის შეცვლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება კომისიის 2020 წლის 2 აპრილის № 131/7გ-20-7/376 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიენიჭოს რადიომოყვარულ ლუკა კერატიშვილს სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის და დანართში (თან ერთვის) მითითებულ სიხშირულ დიაპაზონებში საქმიანობისთვის, სახმობი, ცხრილში აღნიშნული მონაცემების შესაბამისად 5 წლის ვადით 2020 წლის 2 აპრილიდან 2025 წლის 2 აპრილამდე:

რეგისტრაციის №	**რადიოსადგურის მფლობელი**	**რადიოსადგურის განთავსების ადგილი**	**სახმობი**	**კატეგორია**
CN - 070	ლუკა კერატიშვილი	ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, 4 მ/რ, 407 კორპ., ბ. 108	**4L1LUK**	**„C“**

2. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების მოქალაქე ლუკა კერატიშვილისთვის გაგზავნა (ნ. ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება (ნ. შოვნაძე);

3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) მოქალაქე ლუკა კერატიშვილისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი